



ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო
საზოგადოების განვითარების 2025 - 2030 წლების
სტრატეგიის განხორციელების 2025-2027 წლების
სამოქმედო გეგმის შესრულების 2025 წლის ანგარიში
2025 წლის იანვარი-დეკემბერი

მარტი, 2026 წელი

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	2
შესავალი	5
სტრატეგიის განხორციელება.....	7
მონიტორინგი და შეფასება.....	7
ზოგადი მიმოხილვა.....	8
პრიორიტეტი 1: ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარება.....	10
მიზანი 1: ციფრული უთანასწორობის დაძლევა.....	10
ამოცანა 1.1: ციფრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და გაციფრულების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება	10
ამოცანა 1.2: საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა.....	18
პრიორიტეტი 2: ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარება	18
მიზანი 2: ციფრული საჯარო სერვისების გაუმჯობესება	19
ამოცანა 2.1: ციფრული მმართველობის ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება.....	19
ამოცანა 2.2: ღია მონაცემების და დიდი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და გაცვლის პრაქტიკის დახვეწა.....	24
პრიორიტეტი 3: ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება.....	24
მიზანი 3: ბიზნესების გაციფრულების ხელშეწყობა	25
ამოცანა 3.1: ბიზნესების და IT კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....	25
ამოცანა 3.2: სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა.....	29
პრიორიტეტი 4: ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება.....	29
მიზანი 4: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. 30	
ამოცანა 4.1: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა.....	31
ამოცანა 4.2: ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა.....	34
პრიორიტეტი 5: ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარება	35

მიზანი 5: ციფრული განათლების, ციფრული წიგნიერებისა და ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა.....	36
ამოცანა 5.1: საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და ციფრული უნარებისა და ინკლუზიის გაძლიერება	36
გამოწვევები და რეკომენდაციები	41
დანართი - კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში.....	43

მოკლე შეჯამება


წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშს“, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, როგორც მაკოორდინირებელმა უწყებამ, მონიტორინგის განხორციელების პროცესში მოამზადა და მოიცავს საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას.

ანგარიშში მიმოხილულია სტრატეგიის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროგრესი, იდენტიფიცირებულია ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები. ანგარიში მოიცავს განხორციელების პერიოდს 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.


საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025–2030 წლების სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში მომზადებული 2025–2027 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ მე-7 დანართით განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. მონიტორინგის პროცესში შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 9 ამოცანა 26 ამოცანის შედეგის ინდიკატორით და 65 აქტივობის მიმდინარეობა.

აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ განსახორციელებელი აქტივობები ნაწილდება შემდეგნაირად:


აქტივობების რაოდენობა



აქტივობების მიმდინარეობა უწყებების მიხედვით



შესრულების სტატუსის მიხედვით, აქტივობების განაწილება შემდეგნაირია:



შესავალი

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №49 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგია და საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა“. საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების 2025-2030 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია „მსოფლიო ბანკის“ მხარდაჭერით, მათ მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე „Rebooting Georgia-Options for a digital economy & information society strategy for growth, inclusion, resilience, and competitiveness“ დაყრდნობით და ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტების „ციფრული კომპასის“ და „ციფრული დეკადის“ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია ყოვლისმომცველი, მრავალსექტორული სტრატეგიული დოკუმენტია, მასში განისაზღვრა 5 პრიორიტეტი, 5 მიზანი და 9 ამოცანა.

სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

- **პრიორიტეტი 1:** ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარება
- ❖ **მიზანი 1:** ციფრული უთანასწორობის დაძლევა

- ამოცანა 1.1: ციფრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და გაციფრულების ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბება
- ამოცანა 1.2: საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა
- **პრიორიტეტი 2:** ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარება
- ❖ **მიზანი 2:** ციფრული საჯარო სერვისების გაუმჯობესება
- ამოცანა 2.1: ციფრული მმართველობის ძირითადი ხელშეწყობი მექანიზმების გაძლიერება
- ამოცანა 2.2: ღია მონაცემების და დიდი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და გაცვლის პრაქტიკის დახვეწა
- **პრიორიტეტი 3:** ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება
- ❖ **მიზანი 3:** ბიზნესების გაციფრულების ხელშეწყობა
- ამოცანა 3.1: ბიზნესების და IT კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- ამოცანა 3.2: სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა
- **პრიორიტეტი 4:** ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება
- ❖ **მიზანი 4:** ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
- ამოცანა 4.1: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა
- ამოცანა 4.2: ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა
- **პრიორიტეტი 5:** ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარება
- ❖ **მიზანი 5:** ციფრული განათლების, ციფრული წიგნიერებისა და ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა
- ამოცანა 5.1: საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და ციფრული უნარებისა და ინკლუზიის გაძლიერება

სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს თითოეული მიზნისა და ამოცანის მისაღწევად 3 წლის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემუშავდება ახალი სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხარჯებით და დონორთა ფინანსური მხარდაჭერით.

მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სტრატეგიის ეფექტური კოორდინაციისთვის, დამტკიცებული იქნა "საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 მაისის №165 დადგენილება. საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და სტრატეგიულ ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას. საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის № 1-1/230 ბრძანებით შეიქმნა „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფი“.

უწყებათაშორისი საბჭო იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ (ან საჭიროების შემთხვევაში).

მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესში ჩართულნი არიან განმახორციელებელი უწყებები და დაინტერესებული მხარეები.

ყოველი ექვსი თვის განმავლობაში მზადდება: პროგრეს-ანგარიში, წლიური ანგარიშები, შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

ანგარიშები განთავსდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე, ასევე მიეწოდება უწყებათაშორის საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს.


დოკუმენტი მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ანგარიში ასახავს იმ განხორციელებულ აქტივობებს, რომლის მიზანია ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის შემდგომი გაუმჯობესება და ქმნის აუცილებელ საფუძველს ამ სფეროში განგრძობადი პროგრესისთვის.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სტრატეგიის პრიორიტეტების განხორციელების მონიტორინგის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას რეალურად შეფასდეს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პოლიტიკის პროგრესი და ეფექტიანობა.

ზოგადი მიმოხილვა

მონიტორინგის პროცესში შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 9 ამოცანა 26 ამოცანის შედეგის ინდიკატორით და 65 აქტივობის მიმდინარეობა.


მიმდინარე მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აქტივობათა 24.6% (16) განხორციელდა სრულად, 20.0% (13) – მეტწილად, ხოლო 49.2% (32) – ნაწილობრივ. ამასთან, აქტივობათა 3.1% (2) არ დაწყებულა, 1.5% (1) შეჩერებულია, ხოლო 1.5% (1) განხორციელდა დაგვიანებით.



საანგარიშო პერიოდში, ინდიკატორთა 23.08%-ზე (6 ინდიკატორი) მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, 30.77%-ში (8 ინდიკატორი) ფიქსირდება მნიშვნელოვანი პროგრესი, ხოლო 7.69%-ში (2 ინდიკატორი) მაჩვენებელი უახლოვდება 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელს. გარდა ამისა, მცირე პროგრესი ფიქსირდება ინდიკატორთა 11.54%-ის (3 ინდიკატორი) შემთხვევაში.

მაჩვენებლის შენარჩუნება დაფიქსირდა ინდიკატორთა 7.69%-ში (2 ინდიკატორი), ხოლო გაუარესება ფიქსირდება ინდიკატორთა 19.23%-ში (5 ინდიკატორი).

მთლიანობაში, ინდიკატორების მიხედვით განხორციელების პროგრესი ხასიათდება არაერთგვაროვანი დინამიკით - ერთის მხრივ შეინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა, განსაკუთრებით ციფრული ფინანსური სერვისებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ, რიგ ინდიკატორებზე ფიქსირდება გაუარესება ან პროგრესის შეზღუდული ტემპი. ამასთანავე, მონაცემთა ნაწილის არარსებობა კვლავ გარკვეულწილად ზღუდავს პროგრესის სრულყოფილ შეფასებას და ძირითადად დაკავშირებულია სტატისტიკური და საერთაშორისო რეიტინგების გამოქვეყნების ციკლთან.



პრიორიტეტი 1: ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარება

ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 2 ამოცანა, რომლებიც ფასდება 5 ინდიკატორით (1.1.1; 1.1.2; 1.1.3; 1.1.4; 1.2.1). მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ მიმართულებაში პროგრესის სურათი ზოგადად პოზიტიურია. კერძოდ, ინდიკატორთა განაწილება შემდეგია: 1 ინდიკატორი (20%) ხასიათდება მნიშვნელოვანი პროგრესით, ხოლო 4 ინდიკატორი (80%) ინარჩუნებს შუალედურ მაჩვენებელს. კონკრეტულად, მნიშვნელოვანი პროგრესი (20%) ფიქსირდება ინდიკატორზე 1.1.1, სადაც 2025 წლის მაჩვენებელი გაზრდილია 2024 წელთან შედარებით, რაც მიუთითებს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე და ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესებაზე. შუალედურ დონეზე (80%) რჩება ინდიკატორები 1.1.2, 1.1.3, 1.1.4 და 1.2.1, სადაც 2025 წლის მაჩვენებლები ან შენარჩუნებულია 2024 წლის დონეზე, ან მცირედით გაუმჯობესებულია, მთლიანობაში, არ ფიქსირდება ინდიკატორები, რომლებიც მკვეთრად უარყოფით ან კრიტიკულ მდგომარეობაშია, თუმცა შუალედური პროგრესის მაღალი წილი მიუთითებს, რომ მიზნობრივი მაჩვენებლების სრულად მისაღწევად საჭიროა ძალისხმევის გაგრძელება.

მიზანი 1: ციფრული უთანასწორობის დაძლევა

პირველი მიზნის ამოცანა 1.1-ის ფარგლებში დაგეგმილი 18 აქტივობიდან 11.11% სრულად, ხოლო 33.33% მეტწილად განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ აქტივობების ნაწილი დასრულების ეტაპზეა. ნაწილობრივ განხორციელებულია 44.44%, რაც ასახავს მიმდინარე პროცესების აქტიურ ფაზას. შედარებით მცირე წილი ჯერ არ დაწყებულა (5.56%), ხოლო 5.56% განხორციელდა დაგვიანებით. აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება გაუქმებული ან შეჩერებული აქტივობები. მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 57%, რაც მიუთითებს პროგრესის სტაბილურ, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარე ხასიათზე.

ხოლო, ამოცანა 1.2-ის ფარგლებში დაგეგმილი 2 აქტივობიდან ორივე აქტივობა განხორციელების პროცესშია. კერძოდ, 50% (1 აქტივობა) მეტწილად განხორციელდა, ხოლო 50% (1 აქტივობა) ნაწილობრივ განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ პროგრესი არსებობს, თუმცა აქტივობები ჯერ დასრულებული არ არის. მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 36%-ს, რაც ასახავს პროგრესის საშუალო ტემპს და საჭიროებს დამატებით გააქტიურებას.

ამოცანა 1.1: ციფრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და გაციფრულების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება

✓ **აქტივობა 1.1.1:** ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება „ბოლო მილის“ კავშირის განვითარების მიზნით საქართველოს სოფლებში

მსოფლიო ბანკის დახმარებით, დაიწყო საკონსულტაციო მომსახურება „საქართველოში უნივერსალური ფართოზოლოვანი წვდომის უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო საჭიროებების განსაზღვრა“. საკონსულტაციო მომსახურების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში უნივერსალური წვდომის უზრუნველყოფას მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტზე. ამისათვის, მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით არსებული ფართოზოლოვანი ქსელების (Next Generation Networks) დაფარვის არეალის კვლევა და მისი ვიზუალიზაცია GIS რუკების საშუალებით, წვდომის ხარვეზების იდენტიფიცირება ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისად. ასევე, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა როგორც შუა, ისე ბოლო მილის დონეზე. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ტექნოლოგიური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მომზადებას, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და ევროკავშირის სახელმწიფო დახმარების წესების ანალიზს, რათა შემუშავდეს ბიზნეს და დაფინანსების მოდელები, რომლებიც წაახალისებს კერძო ინვესტიციებს და ხელს შეუწყობს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელების დაფარვის ზრდას ქვეყნის მასშტაბით.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები და ინტერვიუები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, როგორც ძირითადი დაინტერესებული მხარეებთან. ასევე, შევსებული იქნა შესაბამისი კითხვარები და კონსულტანტებისთვის მიწოდებული იქნა კვლევის განხორციელებისთვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის შეფასებასა და შემდგომი განვითარების საჭიროებების განსაზღვრას.

აქტივობა 1.1.2: საქართველოში საერთაშორისო კავშირების, განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიმართულებით დოკუმენტის მომზადება (ციფრული ჰაბი)

პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას“ ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია Terabit-ის მიერ „საერთაშორისო კავშირის, მათ შორის ციფრული ჰაბის და რეგიონალური დატა ცენტრების განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის“ საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ციფრული სატრანზიტო კორიდორების, ინტერნეტის ურთიერთგაცვლის წერტილების (IXP) და მონაცემთა გაცვლის ცენტრების განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისთვის, მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტი.

✓ **აქტივობა 1.1.3:** ჰიპერ-მასშტაბური მონაცემთა ცენტრების (TIER III/IV) ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიმართულებით დოკუმენტის მომზადება (ციფრული ჰაბი)

პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას“ ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია Terabit-ის მიერ „საერთაშორისო კავშირის, მათ შორის ციფრული ჰაბის და რეგიონალური დატა ცენტრების განვითარებისთვის, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის“ საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, საქართველოში ჰიპერ-მასშტაბური მონაცემთა ცენტრების (TIER III/IV) განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისთვის, მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტი.

✓ **აქტივობა 1.1.4:** სამთავრობო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელება

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, დაიწყო სამთავრობო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანშეწონილობის კვლევა. აღნიშნული კვლევის მიზანია საჯარო სექტორის მონაცემთა შენახვის საჭიროებების შეფასება, შესაბამისი ეკონომიკური მოდელისა და რეკომენდაციების შემუშავება, ასევე საჯარო სექტორისთვის ღრუბლოვანი (ქლაუდ) სერვისების განვითარების მიზანშეწონილობის განსაზღვრა. კვლევის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო მოიცავს სამ ძირითად ფაზას:

I ფაზა – მზადყოფნისა და საჭიროებების შეფასება: მოიცავს საჯარო სექტორის მონაცემთა შენახვის არსებული მოცულობის, სამართლებრივ ჩარჩოს, ტექნიკური პერსონალისა და ინფრასტრუქტურის შეფასებას მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით.

II ფაზა – გლობალური პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციები: სხვადასხვა ქვეყნის ღრუბლოვანი მოდელების გამოცდილება (სრულად სახელმწიფო, ჰიბრიდული PPP და სხვ.), მათი ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტები, ფინანსური ანალიზი და საქართველოსთვის ოპტიმალური სცენარის შერჩევა ევროკავშირის ციფრულ რეგულაციებთან შესაბამისობაში.

III ფაზა – სტრატეგიის, ბიზნესქეისისა და განხორციელების მხარდაჭერა: მოიცავს ღრუბლოვან მოდელზე გადასვლის სტრატეგიულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს, რისკების შეფასებასა და მათი შემცირების გზების განსაზღვრას.

✓ **აქტივობა 1.1.5:** უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის გამოსავლენად აუქციონის გამართვის წესის, წმინდა ხარჯების გაანგარიშების და კომპენსირების მეთოდოლოგიის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება

კომუნიკაციების კომისიისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ევროკომისიის EU4Digital პროექტის მხარდაჭერით, კომპანია "ერსტ ენდ იანგის" (Ernst&Young Baltic) ექსპერტთა მონაწილეობით, შემუშავდა უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის გამოსავლენად აუქციონის გამართვის წესის, წმინდა ხარჯების გაანგარიშების და

კომპენსირების მეთოდოლოგიის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები.

- ✓ **აქტივობა 1.1.6:** საქართველოს ეროვნული სიხშირული გეგმის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ 2023 წელს დამტკიცებულ სიხშირულ გეგმასთან

კომუნიკაციების კომისიის მიერ, ევროკომისიის და „ევროპის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ადმინისტრაციების კონფერენცია“ – CEPT-ის და ITU-ს 2024 და 2025 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად განახლდა საქართველოს ეროვნული სიხშირული გეგმა. დასრულებულია წინასწარი კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან. დარჩენილია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მისი მიღება.

- ✓ **აქტივობა 1.1.7:** გაფართოებული ურთიერთჩართვის ბაზრის ფუნქციონირების პრინციპების, ინტერნეტის მიმოცვლის წერტილის განვითარების და გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

2025 წლის აპრილიდან, კომუნიკაციების კომისიამ დაიწყო მუშაობა გაფართოებული ურთიერთჩართვის (IP პირინგის) მომსახურებისა და ინტერნეტის ურთიერთგაცვლის წერტილების (IXP) განვითარების ბარიერების შესწავლაზე. კომუნიკაციების კომისიამ კვლევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Plum Consulting Paris SAS-ის მხარდაჭერით განახორციელა. მიმდინარე ეტაპზე კვლევა დასრულებულია, შედეგად მიღებულია რეკომენდაციები და მათი განხორციელების ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს მომზადებული დოკუმენტის თარგმნა დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.

- ✓ **აქტივობა 1.1.8:** მობილური და ფიქსირებული საცალო და შესაბამისი საბითუმო ბაზრების კვლევის ჩატარება და მისი შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისთვის შესაბამისი სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრა

კომუნიკაციების კომისიის მიერ კომპლექსური კვლევის I ეტაპი განხორციელდა, რომელიც მოიცავს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და მობილური მომსახურებების საცალო ბაზრების და ორი შესაბამისი საბითუმო ბაზრების კვლევას: მობილურ ქსელზე დაშვების საბითუმო ბაზარი და ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი (VULA) და ცენტრალური (Bitstream) საბითუმო დაშვების ბაზარი (შენიშვნა: პროექტზე მუშაობა დაიწყო 2022 წელს). აღნიშნული ეტაპის ფარგლებში, 2024 წლის III კვარტალში, კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. კომპლექსური კვლევის I ეტაპი განხორციელდა ევროკომისიის

მხარდაჭერით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარების ("Facility for the Implementation of the EU-Georgia Association Agreement" ("AA Facility")) და ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კომპლექსური კვლევის II ეტაპზე, რომელიც დაიწყო 2025 წლის დასაწყისიდან. აღნიშნულ პროცესშიც კომისიას მხარდაჭერას უწევს ევროპელი ექსპერტები. ეს ეტაპი ერთის მხრივ, მოიცავს იმ საბითუმო ბაზრების კვლევას, რომელიც პირველ ეტაპზე ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის საცალო ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლინდა, როგორც პოტენციურად რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზარი და საჭიროებს სიღრმისულ შესწავლას (გაიარა სამი კრიტერიუმის ტესტი). აღნიშნული ბაზრებია საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან დაშვების საბითუმო ბაზარი და IP ტრანზიტის საბითუმო ბაზარი.

მეორეს მხრივ, 2025 წლის დასაწყისიდან ასევე დაიწყო და პარალელურად მიმდინარეობს გამოყოფილი არხებით მიწოდებული ინტერნეტ მომსახურების მქონე იურიდიული პირი აბონენტების საცალო ბაზრის კვლევა. საცალო ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში გამოვლინდება შესაბამისი საბითუმო ბაზარი(ები) და მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად შეფასდება აღნიშნულ საბითუმო ბაზარზე/ბაზრებზე არსებული კონკურენცია და მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრის საჭიროების მიზნით, შესაბამისი საბითუმო ბაზრების შესწავლის საჭიროება. მიმდინარე ეტაპზე საცალო ბაზრის კვლევა დასრულების ეტაპზეა და დაიდენტიფიცირებულია, რომ ერთ-ერთი შესაბამისი საბითუმო ბაზარი არის გამოყოფილი სიმძლავრის საბითუმო ბაზარი (Wholesale Dedicated Capacity Market), რომელიც ამჟამად ევროკომისიის მიერ რეგულირებადი ორი ბაზრიდან ერთ-ერთია (აღნიშნულ ბაზარზე სატარიფო რეგულაციის განსაზღვრის შემთხვევაში, საჭირო იქნება ტარიფების გაანგარიშებაც). აღნიშნული საბითუმო ბაზრის კვლევა საწყის ეტაპზეა. ასევე, მოიაზრება, რომ მოხდება გამოყოფილი არხებით (მაგისტრალური/ძირითადი ("trunk") და „Backhaul“) საბითუმო მომსახურების ბაზრის გადახედვა.

ამასთან, პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა მოძრავი და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის კვლევაზე, რომლის ფარგლებში, ასევე უნდა განისაზღვროს საბითუმო დაშვების ტარიფები. ამასთან, ტარიფების დათვლაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

ასევე, მოიაზრება, რომ კომპლექსური კვლევა მოიცავს არასტანდარტული სახის (ე.წ. Bulk) მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომსახურების ბაზრის კვლევას, რომლითაც მოცული იქნება ყველა ის საბითუმო ბაზარი, რომლის მოკვლევაც გათვალისწინებული იყო კომპლექსური კვლევის ფარგლებში.

✓ **აქტივობა 1.1.9:** მე-5 თაობის მობილური ტექნოლოგიების საშუალებით მიწოდებული მომსახურებების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიის დამტკიცება და მონიტორინგის სისტემების მოწყობა

შემუშავდა მე-5 თაობის მობილური ტექნოლოგიების საშუალებით მიწოდებული მომსახურებების ხარისხის მონიტორინგის მეთოდოლოგია და მოეწყო მონიტორინგის სისტემები.

აღსანიშნავია, რომ დაგვიანდა მონიტორინგის სისტემის აპარატურის მოწოდება, რამაც გამოიწვია მოცემულ აქტივობასთან დაკავშირებული დანარჩენი სამუშაოების დაგვიანებით შესრულება.

✓ **აქტივობა 1.1.10:** თანამგზავრული ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის განვითარების მიზნით შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება

თანამგზავრული ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის განვითარების მიზნით, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება საჭიროებს საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების შეტანას და მის ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსთან (EECC) შესაბამისობაში მოყვანას, რის შემდეგაც იქნება შესაძლებელი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება.

✓ **აქტივობა 1.1.11:** სატელეკომუნიკაციო მომსახურებების და სატელეკომუნიკაციო ქსელებისთვის გამოსადეგი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ამსახველი ციფრული რუკის შექმნა და მართვა

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მომზადებულია ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ციფრული პლატფორმა (www.sip.comcom.ge). ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა პლატფორმის განვითარებაზე და მომსახურებების ამსახველი რუკის დამატებაზე.

✓ **აქტივობა 1.1.12:** საქართველოს ევროპის როუმინგის ერთიან სივრცესთან მიერთებისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების პაკეტის მომზადება და მომხმარებელთა რეგლამენტში ცვლილებების განხორციელება

ევროკავშირის როუმინგულ რეგულაციებთან საკანონმდებლო დაახლოების მიზნით, ევროკომისიის დახმარებით, EU4Digital პროგრამის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო პროექტები.

- ✓ **აქტივობა 1.1.13:** საცალო და საბითუმო როუმინგული სერვისების რეგულირებისთვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომუნიკაციების კომისიის მიერ, ევროპელი ექსპერტების მხარდაჭერით, მომზადდა პირველადი ("ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი) და მეორადი კანონმდებლობის სამუშაო ვერსიები. მომზადებული დოკუმენტების რევიზია განხორციელდა ევროკავშირის EU4Digital პროექტის ფარგლებში. რევიზიის შედეგად იდენტიფიცირდა, რომ მიზანშეწონილია ცალკე კანონის შემუშავება, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის ნაცვლად. მომზადდა პირველადი ვერსიები.

- ✓ **აქტივობა 1.1.14:** ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების საკოორდინაციო მექანიზმისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადება

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025–2030 წლების სტრატეგიის შესაბამისად, ქვეყანაში ციფრული ტრანსფორმაციის მაკოორდინირებელი ფუნქციის შესრულება დაეკისრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 29 თებერვლის №1-1/103 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების პროექტი.

- ✓ **აქტივობა 1.1.15:** საქართველოს ევროკავშირის ერთიან როუმინგულ სივრცეში (Roam like at Home regime) ინტეგრირების მიმართულებით საკანონმდებლო პროექტების მომზადება

ევროკავშირის როუმინგულ რეგულაციებთან საკანონმდებლო დაახლოების მიზნით, ევროკომისიის დახმარებით, EU4Digital პროგრამის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო პროექტები. ასევე, ევროკავშირის როუმინგული რეგულაციების ასახვის მიზნით, დაიწყო ასოცირების შეთანხმების XV-B დანართში ცვლილებების შეტანის პროცედურები.

✓ **აქტივობა 1.1.16:** „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ჰარმონიზების პროცესში ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი (EECC), შესაბამისი ნორმატიული საკანონმდებლო აქტების შემუშავება და დამტკიცება

EU4Digital პროგრამის ფარგლებში, დაიწყო საკანონმდებლო პროექტის მომზადების აქტივობები ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის დირექტივა (EU)2018/1972 (ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი) ჰარმონიზების მიზნით. აქტივობა მოიცავს საქართველოს არსებული ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობის გადახედვას და საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსს (EECC) შორის არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ პირველადი კანონმდებლობის პროექტების და საკონსულტაციო დოკუმენტების მომზადებას და სხვა.

✓ **აქტივობა 1.1.17:** საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო სამართლებრივ ჩარჩოსთან, მათ შორის სატელეკომუნიკაციო კოდექსთან (EECC) დაახლოება

მომზადებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით:

- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC);
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ (2002/19/EC);
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC);
- კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC).

ამასთან, სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) შესაბამისად, მომზადებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

თუმცა, ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იგეგმება XV-B დანართის განახლება, რომლის შესაბამისადაც, ზემოაღნიშნული დირექტივებით განსაზღვრული საკითხები იმპლემენტირებული იქნება ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) შესაბამისად, ხოლო ზემოაღნიშნულ დირექტივებთან დაახლოების ვალდებულება საქართველოს გაუუქმდება. დანართი XV-B-ის განახლების თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება.

✓ **აქტივობა 1.1.18:** ევროკავშირის ციფრული ევროპის პროგრამაში გაწვევრიანებისთვის განაცხადის წარდგენა

ევროკომისიასთან დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირის ციფრული ევროპის პროგრამაში გაწვევრიანების საკითხებზე, მათ შორის საქართველოს პროგრამაში გაწვევრიანებით მისაღები სარგებელის და საწევრო გადასახადების საკითხებზე.

ამოცანა 1.2: საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა

✓ **აქტივობა 1.2.1:** ციფრული და მაღალი ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტების (1. გასაღების ბაზარზე საქართველოს პოტენციური ტექნოლოგიების მიხედვით რეგიონულ და გლობალურ ქრილში; 2. ტექნოლოგიების მიხედვით ბაზრის მოთხოვნის კვლევა) მომზადება

ციფრული და მაღალი ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტების მოსამზადებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ტექნიკური დახმარების მისაღებად. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი სამუშაოს ტექნიკური დავალება (ToR).

✓ **აქტივობა 1.2.2:** სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, მაღალტექნოლოგიურ სექტორებში სესხების/ლიზინგის დამტკიცება

2025 წელს, სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, მაღალტექნოლოგიურ სექტორებში დამტკიცებულია 13 პროექტი.

პრიორიტეტი 2: ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარება

ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 2 ამოცანა, რომლებიც ფასდება 4 ინდიკატორით (2.1.1; 2.1.2; 2.1.3;

2.2.1). მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ მიმართულებაში პროგრესის სურათი შერეულია და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, ინდიკატორთა განაწილება შემდეგია: 1 ინდიკატორი (25%) ხასიათდება პროგრესით, ხოლო 3 ინდიკატორზე (75%) 2025 წლის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი. კონკრეტულად, პროგრესი (25%) ფიქსირდება ინდიკატორზე 2.1.3, სადაც 2025 წლის მაჩვენებელი შეადგენს 76%-ს (156 დაწესებულება 204-დან), რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2024 წლის საბაზისო დონეს და მიუთითებს სწრაფ პროგრესზე. ამავდროულად, ინდიკატორებზე 2.1.1, 2.1.2 და 2.2.1 (75%) 2025 წლის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო რეიტინგებისა და კვლევების გამოქვეყნების ციკლთან (UN E-Government Survey 2026, ODIN რეიტინგი 2026) და ეროვნული კვლევების დაგეგმილ პერიოდთან (2026 წელი). შედეგად, მიუხედავად ცალკეულ ინდიკატორზე მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, საერთო სურათის სრულფასოვანი შეფასება შეზღუდულია მონაცემთა დროებითი არქონის გამო, რაც მიუთითებს მონიტორინგის პროცესის სპეციფიკაზე და არა ნეგატიურ დინამიკაზე.

მიზანი 2: ციფრული საჯარო სერვისების გაუმჯობესება

მეორე მიზნის ამოცანა 2.1-ის ფარგლებში დაგეგმილი 12 აქტივობიდან ნახევარი სხვადასხვა ეტაპზე განხორციელდა. აქტივობების 50% სრულად განხორციელდა (6 აქტივობა), ხოლო მეტწილად განხორციელებული აქტივობები არ ფიქსირდება (0%). ნაწილობრივ განხორციელებულია 41.67% (5 აქტივობა), რაც ასახავს მიმდინარე პროცესების აქტიურ ფაზას. შედარებით მცირე წილი ჯერ არ დაწყებულა (8.33% - 1 აქტივობა), ხოლო დაგვიანებით განხორციელებული აქტივობები არ ფიქსირდება (0%). აღნიშნულ ამოცანაში ასევე არ ფიქსირდება გაუქმებული ან შეჩერებული აქტივობები.

მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 59.58%-ს, რაც მიუთითებს პროგრესის სტაბილურ, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარე ხასიათზე.

ამოცანა 2.2-ის ფარგლებში დაგეგმილი 1 აქტივობიდან აქტივობა ნაწილობრივ განხორციელებულია. კერძოდ, 100% (1 აქტივობა) ნაწილობრივ განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ პროცესი მიმდინარეობს, თუმცა დასრულების ეტაპზე ჯერ არ არის. მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს 7%-ს, რაც ასახავს პროგრესის საწყის ეტაპს და საჭიროებს დამატებით გააქტიურებას.

ამოცანა 2.1: ციფრული მმართველობის ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება

- ✓ **აქტივობა 2.1.1:** ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტის, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდის ("Privacy by Default and by Design") შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება

შემუშავებულია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტის, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდის ("Privacy by Default and by Design") შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაციები. ამავე საკითხზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს სახელმძღვანელო რეკომენდაციის თარგმანი.

✓ **აქტივობა 2.1.2:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა იგეგმება 2026 წლის მეოთხე კვარტალში.

✓ **აქტივობა 2.1.3:** მოქალაქეებისთვის სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების საშვის სისტემის გაციფრულება

აქტიურად მიმდინარეობს სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების საშვის სისტემის ელექტრონული პლატფორმის შემუშავების პროცედურები. კერძოდ, დასრულებულია პლატფორმის ერთი მოდული, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისთვის და ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს პლატფორმის ფუნქციონალის ტესტირება.

✓ **აქტივობა 2.1.4:** "Digital Identity Wallet"-ის სისტემის დანერგვა

2025 წლის პირველ კვარტალში, გამოცხადდა კომპანიების წინასწარი შერჩევის ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 19-მა კომპანიამ. შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კომპანია. 2025 წლის ნოემბერში გამოცხადდა ტენდერი. შერჩეულ კომპანიებს დაეგზავნათ მოთხოვნა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენაზე. მიმდინარეობს წარმოდგენილი განაცხადების განხილვა.

✓ **აქტივობა 2.1.5:** პირველადი ჯანდაცვის ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების სისტემის (PHEHR) დანერგვა

2025 წლის 30 აპრილს დაიწყო პირველადი ჯანდაცვის კომპლექსური რეფორმა, რომელიც ასევე ითვალისწინებს ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლების ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ცენტრალური სისტემის C-EMR დანერგვას. პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად საპილოტე რეჟიმში. პარალელურად, სამედიცინო დაწესებულებები გადაუდებელი ამბულატორიული სერვისების შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად იყენებენ EHR სისტემას.

✓ **აქტივობა 2.1.6:** ტელემედიცინის სერვისების დანერგვა პირველადი ჯანმრთელობის დაცვის (პჯდ) დაწესებულებებში

2025 წელს, დასრულდა ტელემედიცინის აპარატით ახლად აღჭურვილი 60 ამბულატორიის სოფლის ექიმების ტრენინგი/გადამზადება და მიმდინარეობს ტელემედიცინის სერვისების პილოტირება 110 სოფლის ამბულატორიის ფარგლებში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, მიმდინარეობს ტელემედიცინის გამოყენებისა და დანერგვისთვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და გადახდის მეთოდების შემუშავება. აღნიშნული დიდ გავლენას იქონიებს სოფლად ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის წარმატებაში და ექიმების მოტივაციის ამაღლებაში.

✓ **აქტივობა 2.1.7:** საჯარო სკოლების წარმომადგენელთა და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების წარმომადგენელთა დატრენინგება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან დაკავშირებით

საჯარო სკოლების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირების რეფორმის ფარგლებში, ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით გადამზადდა საჯარო სკოლების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების 1,621 წარმომადგენელი (საჯარო სკოლების - 1,355 და სახელმწიფო საწარმოების - 266).

✓ **აქტივობა 2.1.8:** საჯარო სკოლების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრირება (ჩართვა) ხაზინის ელექტრონულ სისტემაში (E-treasury)

საჯარო სკოლების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირების რეფორმის ფარგლებში, საანგარიშგებო პერიოდში, ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანილ იქნა 754 საჯარო სკოლა და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 107 სახელმწიფო საწარმო (2025 წლის ბოლოს მდგომარებით, ხაზინის მომსახურებაზე ყველა (2,082) საჯარო სკოლა და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 270 სახელმწიფო საწარმოდან 113 სახელმწიფო საწარმო). აღნიშნული ორგანიზაციების/საწარმოების მიერ შემოსულობების მიღების და გადასახდელების გადახდის ოპერაციები სრულად სრულდება ხაზინის ელექტრონულ სისტემაში.

✓ **აქტივობა 2.1.9:** საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ანგარიშგების პორტალის ფუნქციონირების საკითხებზე (მოიცავს საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს)

2025 წლის განმავლობაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა განაგრძო ანგარიშგების პორტალის (Reportal.ge) ფუნქციონირების საკითხებზე საწარმოთა და პროფესიული საზოგადოების სისტემური ინფორმირება. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური

ანგარიშგებების წარდგენის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, წინასწარ განხორციელდა რეგიონული საჭიროებების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც დაიგეგმა საინფორმაციო შეხვედრების ორი ციკლი.

პირველი ციკლის ფარგლებში, ჩატარდა 7 რეგიონული შეხვედრა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბათუმი, ოზურგეთი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი და თბილისი. შეხვედრები დაეთმო ანგარიშგების პორტალზე ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების წარდგენის პროცედურებს, სისტემის ტექნიკურ და პრაქტიკულ საკითხებს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ყველაზე ხშირად გამოვლენილ შეუსაბამობებს.

საინფორმაციო შეხვედრების მეორე ციკლის ფარგლებში ჩატარდა 4 რეგიონული შეხვედრა ბათუმში, ქუთაისში, გორსა და ახალციხეში. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში დამატებით განხილული იქნა ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) და მეოთხე კატეგორიის საწარმოთა სტანდარტის გამოყენება, რაც პირდაპირ უკავშირდება პორტალზე წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდას.

რეგიონული შეხვედრების პარალელურად, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 3 ონლაინ/თემატური საინფორმაციო ღონისძიება, რომლებიც შეეხებოდა ფინანსური ანგარიშგებების ხარისხს, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ანგარიშგების პროცესის პრაქტიკულ ასპექტებს. კერძოდ: (i) ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესსა და IFRS სტანდარტებთან მიმართებით პრაქტიკაში ხშირად გამოვლენილ შეუსაბამობებს; (ii) IFRS-ისა და IFRS for SMEs-ის განახლებებსა და მათ გავლენას ანგარიშგების შედგენასა და წარდგენაზე; (iii) მდგრადობის ანგარიშგების რეფორმებს, მათ შორის CSRD/ESRS მიმართულებით მიმდინარე საერთაშორისო მიდგომებს და მარეგულირებელი ორგანოების როლს.

ამასთან, 2025 წელს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ჩაერთო საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) კონკურსში როგორც თანაორგანიზატორი საქართველოს ეროვნულ ბანკთან, სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან და ბუღალტრული აღრიცხვის ბენეფიციართა ფონდთან ერთად, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. კონკურსი 2025 წელს მეშვიდედ ჩატარდა და მისი მიზანია საქართველოში წლიური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება, ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გამჭვირვების სტანდარტების წახალისება, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის გაძლიერება და კომპანიების მხრიდან მაღალი ხარისხის ანგარიშგების მომზადების სტიმულირება.

ჯამში, 2025 წლის განმავლობაში ანგარიშგების პორტალის ფუნქციონირების საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა როგორც ფიზიკურ სივრცეში (11 შეხვედრა) ისე ონლაინ ფორმატში (3 შეხვედრა), რის შედეგადაც, ჯამში განხორციელდა 14 შეხვედრა/ლონისძიება.

✓ **აქტივობა 2.1.10:** ანგარიშგების პორტალზე აქტების გენერირების და გასაჯაროების ახალი ფუნქციონალის დამატება და მისი შემდგომი განვითარება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ, შემუშავდა ფუნქციონალური და ყოველდღიური რეჟიმში მიმდინარეობს ათეულობით აქტის გასაჯაროება. საანგარიშგებო პერიოდში, ჯამში გასაჯაროებულია 67 677 აქტი.

✓ **აქტივობა 2.1.11:** ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება სდპ, I და II კატეგორიის საწარმოთათვის ანგარიშგების ციფრული (XBRL) ფორმატით წარდგენის საკითხზე

XBRL სტანდარტის პროექტის დანერგვა საწყის ეტაპზეა. შესაბამისად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებაში ჩართული პირების ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, გაიმართა 7 საინფორმაციო შეხვედრა (5 დღე იყო ფიზიკურ სივრცეში, ხოლო 2 დღე ონლაინ ფორმატში). პროექტის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მომდევნო წლებში დაგეგმილია სტანდარტის დანერგვის ტექნიკური საკითხების გამართვა. მას შემდეგ, რაც მზად იქნება სისტემა XBRL სტანდარტით მომზადებული ანგარიშგების მისაღებად, ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრები დაიწყება საწარმოებთან.

✓ **აქტივობა 2.1.12:** ანგარიშგებების ციფრული XBRL ფორმატის დანერგვა სდპ, I და II კატეგორიის საწარმოთათვის

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, XBRL სტანდარტების დანერგვაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ტრენერის ჩართულობით, დაიწყო სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები, როგორც ანალიტიკური ჯგუფის, ისე ფინანსისტების გადამზადების მიზნით. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ჩართულობით, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა ციფრული ანგარიშგების სისტემის განვითარების შემდგომ ეტაპებზე გადასვლის მიზნით, რაც ფინანსური ანგარიშგების სისტემის ციფრული განვითარების გზით ემსახურება ანგარიშგების ხარისხის, შესაძარისობის, გამჭვირვალობისა და მონაცემთა ანალიზის ეფექტიანობის გაზრდას.

ამოცანა 2.2: ღია მონაცემების და დიდი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და გაცვლის პრაქტიკის დახვეწა

- ✓ აქტივობა 2.2.1: საწარმოების მხრიდან დიდი მონაცემების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით კვლევის დოკუმენტის მომზადება და მათზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება

დოკუმენტის მოსამზადებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ტექნიკური დახმარების მისაღებად. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი სამუშაოს ტექნიკური დავალება (ToR).

პრიორიტეტი 3: ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება

ციფრული მეწარმეობის, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობისა და ინოვაციების განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 2 ამოცანა, რომლებიც ფასდება 7 ინდიკატორით (3.1.1; 3.1.2; 3.1.3; 3.1.4; 3.1.5; 3.1.6; 3.2.1). მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ მიმართულებაში პროგრესის სურათი შერეულია. კერძოდ, ინდიკატორთა განაწილება შემდეგია: 4 ინდიკატორი (57.14%) ხასიათდება პროგრესით, 2 ინდიკატორი (28.57%) ხასიათდება ჩამორჩენით, ხოლო 1 ინდიკატორზე (14.29%) 2025 წლის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი.

კონკრეტულად, პროგრესი ფიქსირდება ინდიკატორებზე 3.1.3, 3.1.5, 3.1.6 და 3.2.1. სტარტაპების მხარდაჭერა აქტიურად მიმდინარეობს, ხოლო ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გაიზარდა 1.7%-დან 2.2%-მდე. ასევე, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებაში დაფიქსირდა ზრდა CRM და IoT მიმართულებებში.

ამავდროულად, ჩამორჩენა ფიქსირდება ინდიკატორებზე 3.1.1 და 3.1.4 — ვებ-გაყიდვებში ჩართული საწარმოების წილი შემცირდა 3.1%-დან 2.8%-მდე, ხოლო ციფრული სტარტაპებისთვის მობილიზებული ფინანსები მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაგეგმილ მაჩვენებლებს.

ამასთან, ინდიკატორზე 3.1.2 მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ახალი SME Policy Index გამოქვეყნებული არ არის.

მთლიანობაში, მიუხედავად ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით პოზიტიური დინამიკისა, ელექტრონული კომერციისა და ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით არსებული ჩამორჩენა მიუთითებს დამატებითი ძალისხმევის საჭიროებაზე.

მიზანი 3: ბიზნესების გაციფრულების ხელშეწყობა

მე-3 მიზნის ამოცანა 3.1-ის ფარგლებში დაგეგმილი 9 აქტივობიდან 33.33% სრულად განხორციელდა (3 აქტივობა), ხოლო 22.22% მეტწილად განხორციელდა (2 აქტივობა), რაც მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულების ეტაპზეა. ნაწილობრივ განხორციელებულია 44.44% (4 აქტივობა), რაც ასახავს მიმდინარე პროცესების აქტიურ ფაზას. აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება არ დაწყებული, დაგვიანებით განხორციელებული, გაუქმებული ან შეჩერებული აქტივობები (0%). მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 50.33%-ს, რაც მიუთითებს პროგრესის სტაბილურ, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარე ხასიათზე.

ამოცანა 3.2-ის ფარგლებში დაგეგმილი 3 აქტივობიდან ყველა აქტივობა განხორციელების პროცესშია. კერძოდ, 100% (3 აქტივობა) ნაწილობრივ განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ პროცესები დაწყებულია, თუმცა დასრულების ეტაპზე ჯერ არ არის. აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება სრულად, მეტწილად, არ დაწყებული, დაგვიანებით განხორციელებული, გაუქმებული ან შეჩერებული აქტივობები (0%). მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 10.67%-ს, რაც ასახავს პროგრესის საწყის ეტაპს და საჭიროებს დამატებით გააქტიურებას.

ამოცანა 3.1: ბიზნესების და IT კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

✓ **აქტივობა 3.1.1:** რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით გაციფრულების მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმით მხარდაჭერა

2025 წელს, რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში გაციფრულების მიმართულებით მხარდაჭერილია 209 მეწარმე სუბიექტი, ხოლო დაფინანსებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაუფორმდა 109 მეწარმე სუბიექტს.

✓ **აქტივობა 3.1.2:** რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში გაციფრულების მიმართულებით მეწარმეთა გადამზადება

2025 წელს დატრენინგებულია 60 უნიკალური პირი (39 უნიკალური მეწარმე სუბიექტი).

✓ **აქტივობა 3.1.3:** ინოვაციური სტარტაპისა და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის მიერ, დამტკიცდა "ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ინოვაციური კომპანიების სტატუსები.

✓ **აქტივობა 3.1.4:** "ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის" პროგრამის განხორციელება

2025 წელს, ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში, 11 ლოკაციაზე (სამეგრელო-ზემო სვანეთში პროგრამა ცალ-ცალკე მიმდინარეობდა). ჯამურად, სააგენტომ მიიღო 414 სააპლიკაციო განაცხადი, მათ შორის, 173 ქალი განმცხადებლის და დაფინანსდა 39 სტარტაპი (პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული 40 სტარტაპის დაფინანსება, თუმცა ერთმა სტარტაპმა ვერ გაიარა სამართლებრივი შესაბამისობის ეტაპი (due dilligence), რის გამოც მასთან აღარ გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება).

შედეგები რეგიონების მიხედვით შემდეგია:

- აჭარაში სააგენტომ მიიღო 48 განაცხადი (მათ შორის, 17 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 6 სტარტაპი;
- გურიაში - 34 განაცხადი (მათ შორის, 9 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- იმერეთში - 48 განაცხადი (მათ შორის, 22 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 6 სტარტაპი;
- სამეგრელოში - 44 განაცხადი (მათ შორის, 13 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 5 სტარტაპი;
- სვანეთში - 12 განაცხადი (მათ შორის, 6 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 1 სტარტაპი;
- რაჭა-ლეჩხუმში - 23 განაცხადი (მათ შორის, 13 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 3 სტარტაპი;
- შიდა ქართლი - 37 განაცხადი (მათ შორის, 18 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 4 სტარტაპი;
- მცხეთა-მთიანეთი - 33 განაცხადი (მათ შორის, 18 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- სამცხე-ჯავახეთი - 38 განაცხადი (მათ შორის, 18 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- ქვემო ქართლი - 41 განაცხადი (მათ შორის, 17 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 4 სტარტაპი;
- კახეთი - 56 განაცხადი (მათ შორის, 22 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 4 სტარტაპი.

ამასთან, პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 11 ბიზნეს ტრენინგი მონაწილეებისთვის და გაიმართა 16 დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა პროგრამის შესახებ. აპლიკანტებს პროგრამის თითოეულ ეტაპზე ჩაუტარდათ დეტალური კონსულტაციები განაცხადის მომზადებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

✓ აქტივობა 3.1.5: რეგიონული პრეაქსელერატორის პროგრამის განხორციელება

2025 წელს პრე-აქსელერატორის პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში, 11 ლოკაციაზე. პროგრამა სულ 157-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 100 მათგანი წასდგა დემო დღეზე საინვესტიციო კომიტეტის წინაშე პრეზენტაციით; პროგრამის 408 ბენეფიციარს შორის 231 ქალი და 19 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო. მიღწეული შედეგების შესახებ დეტალური მონაცემები კი შემდეგია:

- სამეგრელოს რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 21-მა გუნდმა გაიარა, მათგან 11 წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 33 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 16 ქალია;
- სვანეთში პროგრამა 10-მა გუნდმა გაიარა; მათგან 4 წასდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 15 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 6 ქალია;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში პროგრამა სულ 18-მა გუნდმა გაიარა; მათგან 11 წასდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. ამ რეგიონში პროგრამას 24 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 17 ქალია;
- შიდა ქართლში პროგრამა დაასრულა სულ 13-მა გუნდმა, რომელთაგან 6 წასდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 33 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 22 ქალია;
- სამცხე-ჯავახეთში პროგრამა 20-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 11 წასდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 37 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 21 ქალია, ხოლო 13 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი;
- მცხეთა-მთიანეთში პროგრამა სულ 8-მა გუნდმა გაიარა; მათგან 6 წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. ამ რეგიონში პროგრამას 15 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 7 ქალია;
- ქვემო ქართლში პროგრამა სულ 8 გუნდმა დაასრულა და მათგან 5 წასდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 46 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 30 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი;
- კახეთში პროგრამა სულ 15-მა გუნდმა გაიარა და ყველა მათგანი წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 54 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 30 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

- აჭარაში პროგრამა სულ 18-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 16 წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 63 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 32 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი;
- გურიაში პროგრამა სულ 11-მა გუნდმა დაასრულა; მათგან 8 წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. ამ რეგიონში პროგრამას 15 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 5 ქალია;
- იმერეთში პროგრამა სულ 15-მა გუნდმა დაასრულა და 7 მათგანი წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას ამ რეგიონში 73 ბენეფიციარი (პირი) ჰყავს, რომელთაგან 45 ქალია.

პრე-აქსელერატორის პროგრამა უკვე განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. სამეგრელოში სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ მიიღო სულ 33 განაცხადი, რომელთაგან 11-მა გუნდმა მოახერხა საკუთარი იდეების წარდგენა დემო დღეზე, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში, შემოსული 56 განაცხადიდან, ფინალურ ეტაპზე გადავიდა 11 გუნდი. ასევე, სვანეთში სააგენტომ სულ მიიღო 15 განაცხადი, რომელთაგან 4 გუნდი წარსდგა საინვესტიციო კომიტეტის წინაშე საბოლოო პრეზენტაციებით.

✓ აქტივობა 3.1.6: 500 Global-ის პროგრამის ფარგლებში, სტარტაპების აქსელერაცია

2025 წელს ჩატარდა 2 რაუნდი, სადაც, 500 Georgia-ს აქსელერაციის პროგრამის მე-8 რაუნდზე შეირჩა და გადამზადდა 6 გამარჯვებული სტარტაპი, ხოლო მე-9 რაუნდზე - 13 სტარტაპი. ახალ, მე-10 რაუნდზე აპლიკაციების მიღება უკვე მიმდინარეობს, უშუალოდ აქსელერაციის პროცესი კი 2026 წლის 6 აპრილს დაწყება.

✓ აქტივობა 3.1.7: სრულმასშტაბიანი 4 საერთაშორისო ინკუბატორის პროგრამის განხორციელება

„ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის“ პროგრამის კონკურსი 4 საერთაშორისო აქსელერატორის შესარჩევად გამოცხადდა 2025 წლის 30 აპრილს. შედეგად, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ მიიღო სულ 17 განაცხადი და შეირჩა 4 აქსელერატორი, რომლებიც, თავის მხრივ, 160 სტარტაპს შეარჩევენ აქსელერაციისთვის. შერჩეული აქსელერატორები არიან: 500 Global; Plug and Play; Founders Institute; Startup Bootcamp. ორი აქსელერატორი: Startup Bootcamp და Plug and Play აქსელერაციას იწყებენ 2026 წლის იანვრიდან, ხოლო, დანარჩენი აქსელერატორები - ამავე წლის 2 ივლისიდან.

✓ აქტივობა 3.1.8: სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, მაღალტექნოლოგიურ სექტორებში სესხები/ლიზინგის ახალი საწარმოებისათვის დამტკიცება

2025 წელს სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, მაღალტექნოლოგიურ სექტორებში ახალი საწარმოებისათვის დამტკიცებულია 7 პროექტი.

✓ **აქტივობა 3.1.9:** საჯარო-კერძო სექტორის რეგულარული დიალოგის პლატფორმის შექმნა

შემუშავებულია შესაბამისი ბრძანების პროექტი და დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობს კონსულტაციები. ამასთან, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პლატფორმის შესაძლო წევრი ორგანიზაციების შესახებ

ამოცანა 3.2: სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა

✓ **აქტივობა 3.2.1:** ხელოვნური ინტელექტის განვითარების გზამკვლევის მომზადება და დამტკიცება

დოკუმენტის მოსამზადებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ტექნიკური დახმარების მისაღებად. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი სამუშაოს ტექნიკური დავალება (ToR).

✓ **აქტივობა 3.2.2:** ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის დაფუძნება

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ხელოვნური ინტელექტის მონაცემთა ცენტრის მოწყობა. მიმდინარეობს ბაზრის მოკვლევა, ექსპერტების მოძიება და შესაბამისი ლიცენზიების აღების პროცესები NVIDIA-სთან. ასევე, მომზადდა ცენტრის ფუნქციონირებისა და სამომავლო პროექტების შესახებ კონცეფციის ბარათი.

✓ **აქტივობა 3.2.3:** საქართველოს ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის შემუშავება

სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ მზადაა საკოორდინაციო მექანიზმის შესაქმნელად საჭირო შესაბამისი დებულების პროექტი და სხვა თანხმდებელი დოკუმენტაცია; ასევე, მომზადდა წინამოსამზადებელი კვლევა "სხვადასხვა ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკის ანალიზი და ეკონომიკური გავლენა სექტორებსა და ინდუსტრიებზე", როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე.

პრიორიტეტი 4: ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება

ციფრული ფინანსური სერვისების განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 2 ამოცანა, რომლებიც ფასდება 5 ინდიკატორით (4.1.1; 4.1.2; 4.2.1; 4.2.2; 4.2.3). მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ მიმართულებაში პროგრესი ძირითადად პოზიტიურია და ასახავს სექტორის აქტიურ განვითარებას. კერძოდ, ინდიკატორთა

განაწილება შემდეგია: 4 ინდიკატორი (80%) ხასიათდება პროგრესით, ხოლო 1 ინდიკატორზე (20%) პროგრესი არ ფიქსირდება.

კონკრეტულად, პროგრესი (80%) ფიქსირდება ინდიკატორებზე 4.1.1, 4.1.2, 4.2.1 და 4.2.3. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდიკატორი 4.1.1, სადაც ელექტრონული კომერციის ოპერაციების რაოდენობა 2024 წლის 54.7 მილიონიდან 2025 წელს 111 მილიონამდე გაიზარდა, რაც 56.3 მილიონი ოპერაციით მატებას და დაახლოებით 103%-იან მნიშვნელოვან ზრდას წარმოადგენს, რაც მიუთითებს ელექტრონული კომერციის სწრაფ გაფართოებაზე. ასევე, ინდიკატორი 4.1.2 აჩვენებს ზრდას 200,000-დან 240,000-მდე, რაც ძირითადად მობილური ბანკინგის აქტიური გამოყენებით არის განპირობებული. ინდიკატორზე 4.2.1 დაფიქსირდა პროგრესი, სადაც 2025 წლის განმავლობაში დამატებით ოთხმა არასაბანკო ინსტიტუტმა მიიღო თანხმობა ღია ბანკინგში ჩართვაზე. ამასთანავე, ინდიკატორი 4.2.3-ის მიხედვით, ფინტექ კომპანიების რაოდენობა გაიზარდა და 120-ს გადააჭარბა.

ამავდროულად, ინდიკატორზე 4.2.2 (20%) პროგრესი არ ფიქსირდება, ვინაიდან 2025 წლის განმავლობაში ახალი ციფრული ბანკი არ დარეგისტრირებულა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობდა შესაბამისი განაცხადების განხილვა. შედეგად, მიუხედავად ერთი ინდიკატორის სტაგნაციისა, საერთო სურათი მიუთითებს ციფრული ფინანსური სერვისების განვითარების მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკაზე და სექტორის გამლიერებაზე.

მიზანი 4: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

მე-4 მიზნის ამოცანა 4.1-ის ფარგლებში დაგეგმილი 6 აქტივობიდან 16.67% (1 აქტივობა) მეტწილად განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ აქტივობა დასრულების ეტაპზეა. ამასთან, აქტივობათა 83.33% (5 აქტივობა) ნაწილობრივ განხორციელდა, რაც ასახავს პროცესების აქტიურ მიმდინარეობას, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ შესრულების პროცესშია. აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება სრულად განხორციელებული, არ დაწყებული, დაგვიანებით განხორციელებული ან შეჩერებული აქტივობები (0%). მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 31.7%-ს, რაც მიუთითებს პროგრესის საწყის ეტაპზე ყოფნას და საჭიროებს შემდგომ გააქტიურებას.

ამოცანა 4.2-ის ფარგლებში დაგეგმილი 2 აქტივობიდან 100% (2 აქტივობა) ნაწილობრივ განხორციელდა, რაც მიუთითებს, რომ პროცესები დაწყებულია, თუმცა დასრულების ეტაპზე ჯერ არ არის. აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება სრულად, მეტწილად, არ დაწყებული, დაგვიანებით განხორციელებული ან შეჩერებული აქტივობები (0%). მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს

დაახლოებით 15%-ს, რაც ასახავს პროგრესის საწყის ეტაპს და საჭიროებს დამატებით გააქტიურებას.

ამოცანა 4.1: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა

✓ აქტივობა 4.1.1: მყისიერი გადახდების სისტემის იმპლემენტაცია

მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) დანერგვის პროექტის ფარგლებში წარმატებით დასრულდა სისტემის საწყისი ეტაპის ძირითადი ამოცანები: მომზადდა ტექნიკური მოთხოვნების დეტალური დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი, რომელიც წარმატებით ჩატარდა, რის შედეგადაც ხელშეკრულება გაფორმდა შერჩეულ ვენდორთან.

შემდგომ ეტაპზე, ვენდორთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა სისტემის დეტალური მოთხოვნების დოკუმენტი (Inception Report), რაც პროექტის არქიტექტურის, ფუნქციონალისა და ინტეგრაციის ყველა ასპექტს მოიცავს. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებით, მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვის პროცესი ოფიციალურად გადავიდა განვითარების (დეველოპმენტის) ფაზაში. 2026 წლის მეორე კვარტალში დაგეგმილია IPS სისტემის ტრენინგები, რომლის შემდეგაც დაიწყება სისტემის ფუნქციონალის ტესტირების ფაზა.

მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან და არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან. მათთვის მზადდება მიზნობრივი პრეზენტაციები, რომელთა მიზანია პროექტისადმი ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის გაძლიერება და ტექნიკური დოკუმენტაციის მაქსიმალურად გასაგებ და ხელმისაწვდომ ფორმატში მიწოდება. ეს პროცესი უზრუნველყოფს მათი მზაობის გაზრდას და ამარტივებს მათთვის IPS სისტემაში ინტეგრაციის პროცესს.

პროექტი ვითარდება გაწერილი გეგმის შესაბამისად და ყველა მონაწილე მხარის აქტიური ჩართულობით ხორციელდება.

✓ აქტივობა 4.1.2: მყისიერი გადახდების სისტემის შემდგომი განვითარება

მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) დანერგვის პროექტის მიმდინარეობის პარალელურად, დაიწყო მყისიერი გადახდების სისტემის (IPS)-ის მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიის წარმართვისთვის პროფესიონალური საკონსულტაციო კომპანიის დაქირავებისთვის ტენდერზე მუშაობა.

ტენდერის მიზანია შეირჩეს კომპანია რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს ყოვლისმომცველ მარკეტინგულ, კომუნიკაციურ და მომხმარებლის გამოცდილების

(UX) სტრატეგიას საქართველოში ახალი მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) წარმატებული გაშვებისა და დანერგვისთვის.

ამისთვის შემუშავდა მოთხოვნების დოკუმენტი (ToR) და ინტერესის გამოხატვის მოთხოვნის დოკუმენტი (REOI), რომელთა მიხედვითაც გამოქვეყნდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა. ამჟამად მიმდინარეობს ტენდერის ფარგლებში მიღებული დოკუმენტაციის დამუშავება/შეფასება. კომპანიის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის შესყიდვების რეგულაციების შესაბამისად.

აღნიშნული კამპანიის მიზანი იქნება სისტემის ეფექტურად გაცნობა მომხმარებლებისთვის, ბრენდის იდენტობის შექმნა და ფართო ცნობადობისა და დანერგვის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს სისტემის ცნობადობას, მიღებასა და მის ეფექტურ გამოყენებას.

მარკეტინგული კამპანიისა და შესაბამისი კვლევების სამიზნე სეგმენტებად იდენტიფიცირებულია ელექტრონული კომერციის სუბიექტები და ფიზიკური სავაჭრო ობიექტები. მათთვის შემუშავდება სპეციფიკურად მორგებული კომუნიკაციური გზავნილები და არხები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს და ეფექტურს გახდის IPS-ის დანერგვის პროცესს.

ბანკებისა და არასაბანკო გადახდის მომსახურების პროვაიდერებისთვის მყისიერი გადახდის სისტემის დანერგვა გაზრდის კონკურენტუნარიანობას და საშუალებას მისცემს მათ, დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოლოდინები ინოვაციური პროდუქტების მიმართ.

ფინტექ კომპანიებისთვის ეს გახდება პლატფორმა ინოვაციური გადახდის საშუალებების განვითარებისათვის.

✓ აქტივობა 4.1.3: QR კოდის ეროვნული სტანდარტის დანერგვა

შემუშავებულია ეროვნული QR კოდის სტანდარტის პროექტი, რომელიც გაზიარებული იქნა ბაზრის მონაწილეებთან, საერთაშორისო საბარათე სქემებთან და მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან. მათგან მიღებული იქნა უკუკავშირი. მიმდინარე ეტაპზე განიხილება სტანდარტის პრაქტიკული დანერგვის საკითხი, კერძოდ მიმდინარეობს მუშაობა QR კოდის ცენტრალიზებული პლატფორმის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური მოთხოვნების მოსამზადებლად. პროცესში ასევე გათვალისწინებულია კონსულტანტის ჩართვა. შემუშავებული ტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე იგეგმება ტენდერის გამოცხადება QR კოდის ცენტრალიზებული პლატფორმის მწარმოებლის შერჩევისა და მისი დანერგვის მიზნით.

✓ **აქტივობა 4.1.4:** საბარათე სისტემებს შორის ურთიერთთავსებადობის მხარდაჭერის მიზნით დოკუმენტის პროექტის მომზადება

განხილული იქნა ურთიერთთავსებადობის მიღწევის რამდენიმე გზა. ბაზრის სტარქტურის გათვალისწინებით არჩეული იქნა ორი ალტერნატივა, რომელიც საბოლოო განხილვის პროცესშია.

2025 წელს ასევე დაიწყო ერთიანი ეროვნული სვიჩის დანერგვის საკითხის განხილვა. მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და ბაზრის მოთხოვნების შესწავლის სამუშაოები.

✓ **აქტივობა 4.1.5:** IPS სისტემის დანერგვა

მცისიერი გადახდების სისტემის (IPS) დანერგვის პროექტის ფარგლებში წარმატებით დასრულდა სისტემის საწყისი ეტაპის ძირითადი ამოცანები: მომზადდა ტექნიკური მოთხოვნების დეტალური დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი, რომელიც წარმატებით ჩატარდა, რის შედეგადაც ხელშეკრულება გაფორმდა შერჩეულ ვენდორთან.

შემდგომ ეტაპზე, ვენდორთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა სისტემის დეტალური მოთხოვნების დოკუმენტი (Inception Report), რაც პროექტის არქიტექტურის, ფუნქციონალისა და ინტეგრაციის ყველა ასპექტს მოიცავს. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებით, მცისიერი გადახდების სისტემის დანერგვის პროცესი ოფიციალურად გადავიდა განვითარების (დეველოპმენტის) ფაზაში. 2026 წლის მეორე კვარტალში დაგეგმილია IPS სისტემის ტრენინგები, რომლის შემდეგაც დაიწყება სისტემის ფუნქციონალის ტესტირების ფაზა.

მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან და არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან. მათთვის მზადდება მიზნობრივი პრეზენტაციები, რომელთა მიზანია პროექტისადმი ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის გაძლიერება და ტექნიკური დოკუმენტაციის მაქსიმალურად გასაგებ და ხელმისაწვდომ ფორმატში მიწოდება. ეს პროცესი უზრუნველყოფს მათი მზაობის გაზრდას და ამარტივებს მათთვის IPS სისტემაში ინტეგრაციის პროცესს.

პროექტი ვითარდება გაწერილი გეგმის შესაბამისად და ყველა მონაწილე მხარის აქტიური ჩართულობით ხორციელდება.

IPS სისტემის დანერგვის შემდეგ აქტიურად გაგრძელდება კომუნიკაცია იმ კომერციულ ბანკებთან და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან, რომლებიც არ არიან ჩართული სისტემაში, მათთვის სისტემის დამატებითი სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

✓ **აქტივობა 4.1.6:** საგადახდო ტარიფების გამჭვირვალობის ზრდის მხარდაჭერის მიზნით დოკუმენტის პროექტის მომზადება

ვენდორთან მჭიდრო თანამშრომლობით განვითარებული იქნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც მოხდება ტარიფების და კურსების შეგროვება, დამუშავება და მომხმარებლისათვის ვებ-გვერდის მეშვეობით მიწოდება. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის კალკულატორი, რომლითაც მომხმარებელი შეძლებს მისი მოთხოვნებისადმი საუკეთესო ვარიანტის არჩევას.

საბოლოო ტესტირება დასრულებულია. შემუშავებულია შესაბამისი წესების და ინსტრუქციების პროექტები, რომლითაც განისაზღვრება კომერციული ბანკების ვალდებულებები პროექტის გთავლისწინებული ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის მოწოდების ინსტრუქცია.

უახლოეს მომავალში იგეგმება პროექტის გაშვება რეალურ გარემოში.

ამოცანა 4.2: ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა

✓ **აქტივობა 4.2.1:** რეგულირების ლაბორატორიის (regulatory sandbox) საერთაშორისო კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის რეგულატორულ ჰარმონიზაციას/სტანდარტიზაციას

აღნიშნული საკითხი დაფარულია საქართველოს ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში, რომლის პროექტიც მომზადებულია და 2026 წლის პირველ ნახევარში უნდა დამტკიცდეს მთავრობის მიერ.

რეგულირების ლაბორატორია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივაა, რომელიც ინოვაციური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების სატესტო გარემოში გამოცდის საშუალებას იძლევა. მისი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ფინანსურ სექტორში ახალი ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების დანერგვას, რისკების კონტროლირებად პირობებში შეფასების გზით.

მნიშვნელოვანი მიმართულებაა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მარეგულირებელი სტანდარტების ჰარმონიზაცია. ამ მიზნით რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად იკვლევს და აცხადებს ისეთ პროექტებს, რომლებშიც უცხოური კომპანიების მონაწილეობაც გახდება შესაძლებელი – ადგილობრივი, სებ-ს დაქვემდებარებული სუბიექტების პარტნიორობით. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ცოდნის გაცვლის მიზნით, 2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი ჩართულია იყო ინიციატივებში და პროექტებში სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან ერთად, რაც იძლევა საშუალებას შეიქმნას ერთიანი ხედვები რეგულირების მომავალზე და ხელი

შეეწყოს სამომავლო ერთობლივ პროექტებს. გარდა ამისა, განიხილება მეზობელ აზერბაიჯანთან ერთობლივი რეგულირების სენდბოქსის შექმნის შესაძლებლობა. ასეთი პლატფორმა რეგიონული მასშტაბით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ინოვაციების მხარდასაჭერად და მარეგულირებელი გარემოს განვითარებისთვის, რაც გაზრდის ორივე ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემების მიმზიდველობას. ამ მიმართულებით 2025 წლის განმავლობაში უკვე შედგა რამდენიმე შეხვედრა და მიმდინარეობს მოლაპარაკება კონკრეტულ დეტალებზე.

✓ **აქტივობა 4.2.2:** რეგულირების ლაბორატორიის მასშტაბების ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად სუბიექტებზე გავრცელების მიზნით დოკუმენტის პროექტის მომზადება

საკითხი დაფარულია ფინტექ სტრატეგიის დოკუმენტში, რომლის პროექტიც მომზადებულია და უნდა დამტკიცდეს მთავრობის მიერ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება იმის მიღწევა, რომ რეგულირების ლაბორატორიის გამოყენების შესაძლებლობა მიეცეთ არა მხოლოდ სებ-ს დაქვემდებარებულ განმცხადებლებს, არამედ სხვა ტიპის სუბიექტებსაც. ასეთი ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის მონაწილე კომპანიების რაოდენობას და დადებითად აისახება, როგორც ინოვაციების ხარისხზე, ისე ფინანსურ ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებაზე.

2025 წლის განმავლობაში აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა, რის საფუძველზეც უკვე შესწავლილია არაერთი საერთაშორისო მაგალითი და საუკეთესო პრაქტიკა, რომლებიც წარმატებით არის დანერგილი სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, ხორციელდება დაკვირვება სხვადასხვა იურისდიქციებში რეგულირების ლაბორატორიების მოდელებზე, რათა გადმოტანილი იქნეს ოპტიმალური სწავლის მასალა და გამოცდილება ადგილობრივ კონტექსტზე ეფექტურად გატარდეს. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბაზრის მონაწილეებისთვის, არამედ ქვეყნის ფინანსური ეკოსისტემის გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისითაც.

პრიორიტეტი 5: ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარება

ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია 1 ამოცანა, რომელიც ფასდება 5 ინდიკატორით (5.1.1; 5.1.2; 5.1.3; 5.1.4; 5.1.5). მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ მიმართულებაში პროგრესის სურათი შერეულია. კერძოდ, ინდიკატორთა განაწილება შემდეგია: 2 ინდიკატორი (40%) ხასიათდება პროგრესით, 1 ინდიკატორი (20%) ხასიათდება გაუარესებით, ხოლო 2 ინდიკატორზე (40%) 2025 წლის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი. კონკრეტულად, პროგრესი (40%) ფიქსირდება ინდიკატორებზე 5.1.2 და 5.1.4, სადაც 2025 წლის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია 2024 წელთან შედარებით - ინტერნეტის გამოყენება გაიზარდა

83%-დან 86.7%-მდე (+3.7 %), ხოლო ვებსაიტის მქონე საწარმოთა წილი გაიზარდა როგორც მცირე საწარმოებში (11.5%-დან 12.2%-მდე), ისე საშუალო საწარმოებში (54.5%-დან 59.4%-მდე). ამავდროულად, გაუარესება (20%) ფიქსირდება ინდიკატორზე 5.1.5, სადაც, მაჩვენებელი მცირედით შემცირდა. ამასთან, ინდიკატორებზე 5.1.1 და 5.1.3 (40%) 2025 წლის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი, რაც დაკავშირებულია სტატისტიკური მონაცემების არქონასთან ან მონაცემების შემდგომ დაზუსტებასთან.

მიზანი 5: ციფრული განათლების, ციფრული წიგნიერებისა და ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა

მე-5 მიზნის ამოცანა 5.1-ის ფარგლებში დაგეგმილი 12 აქტივობიდან ნახევარი განხორციელდა. აქტივობების 50% სრულად განხორციელდა (6 აქტივობა), ხოლო 25% მეტწილად განხორციელდა (3 აქტივობა), რაც მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულების ეტაპზეა. ნაწილობრივ განხორციელებულია 41.67% (5 აქტივობა), რაც ასახავს მიმდინარე პროცესების აქტიურ ფაზას. შეჩერებულია 8.33% (1 აქტივობა). აღნიშნულ ამოცანაში არ ფიქსირდება არ დაწყებული, დაგვიანებით განხორციელებული ან გაუქმებული აქტივობები (0%). მთლიანობაში, განხორციელების საშუალო დონე შეადგენს დაახლოებით 72.33%-ს, რაც მიუთითებს პროგრესის მაღალ, თუმცა ნაწილობრივ მიმდინარე ხასიათზე.

ამოცანა 5.1: საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და ციფრული უნარებისა და ინკლუზიის გაძლიერება

✓ **აქტივობა 5.1.1:** სხვადასხვა საგნის, კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ციფრული უნარების/პროფესიული განვითარების მიზნით გადამზადება

ანგარიშგება 5.1.1.1 და 5.1.1.2 აქტივობის ინდიკატორების შესაბამისად - საანგარიშო პერიოდში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ:

1. შეიქმნა ტრენინგმოდული კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებისთვის;
2. შეიქმნა ტრენინგმოდული: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული მოდულით გადამზადებულია საპილოტე ჯგუფის სხვადასხვა საგნის 29 მასწავლებელი. ასევე, „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გადამზადდა 300-მდე ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) მასწავლებელი;
3. დამატებით შეიქმნა ტრენინგმოდული „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის სექტორებისთვის) გაკვეთილზე“, რომლითაც გადამზადდა 150 მსმენელი. გაგრძელდება ტრენინგების ორგანიზება მასწავლებელთა ციფრული უნარების განვითარების მიზნით.

ანგარიშგება 5.1.1.3 და 5.1.1.4 აქტივობის ინდიკატორების შესაბამისად - 2025 წელს, სახელმწიფო დაფინანსებით გაგრძელდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესი, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, დაფინანსების უზრუნველყოფას, სერვისების კოპულარიზაციას. საანგარიშო პერიოდში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით სისტემას დაემატა დამატებით 21 ახალი პროგრამა. ასევე, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით მომზადდა/გადამზადდა 1215 პირი, გადამზადებულ პირთა რაოდენობა გაზრდილია 56%-ით.

ანგარიშგება 5.1.1.5 აქტივობის ინდიკატორის შესაბამისად - საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ციფრული საგანმანათლებლო კურსი - „ციფრული კომპეტენციები მასწავლებლებისთვის - დონე 2“, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების დისტანციური სწავლების პლატფორმაზე (lms.geoskills.ge) და ღია ყველა დაინტერესებული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. კურსი მიზნად ისახავს მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული კურსი ეხმარება პროფესიული განათლების მასწავლებლებს განაგრძონ რეფლექსია საკუთარ ციფრულ კომპეტენციებზე და გამოიყენონ ტექნოლოგიები ყოველდღიურ პრაქტიკაში. კურსი ეფუძნება მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების ევროპულ ჩარჩო DigCompEdu-სა და SelfieforTeacher-ს და მასში განსაზღვრულ B1-B2 დონეს.

ასევე, შემუშავებულია ციფრული საგანმანათლებლო კურსი - „ციფრული კომპეტენციები მასწავლებლებისთვის - დონე 1“, რომლის მიზანია მასწავლებლების მხარდაჭერა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საწყის ეტაპზე.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამასა და მის შემადგენელ მოდულებზე. პროგრამის შემადგენელი ერთ-ერთი მოდული ორიენტირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებაზე სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.

✓ აქტივობა 5.1.2: პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამშრომელთა გადამზადება ციფრული მმართველობის მიმართულებით

ტრენინგები ჩატარდა სამ ნაკადად და გადამზადდა სამსახურის 46 თანამშრომელი.

✓ აქტივობა 5.1.3: „Do IT with the EU“ პროგრამის განხორციელება

საანგარიშო პერიოდში, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ დაასრულა პროექტის "Do IT with the EU" განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი IT უნარების განვითარებას და ამავდროულად, ზრდიდა მონაწილეთა დასაქმების შესაძლებლობებს, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზარზე.

პროგრამის სერტიფიცირების კომპონენტის ფარგლებში, 32 კურსზე სწავლება წარმატებით დაასრულა 50-მა ჯგუფმა. ჩარიცხული 1,048 მონაწილიდან ტრენინგი წარმატებით გაიარა 887-მა (85%). მათ შორის, 654-მა მიიღო საერთაშორისო სერტიფიცირების გამოცდის ვაუჩერი, ხოლო 579 გავიდა გამოცდაზე. მათგან, 340-მა მონაწილემ მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი.

პროგრამის დასაქმების კომპონენტის ფარგლებში, სულ ჩაერთო 433 კანდიდატი, რომელთაგან 285-მა წარმატებით დაასრულა ტრენინგი 5 სპეციალიზებულ მიმართულებაში, თბილისში: Software Engineering; Machine Learning Engineering; Data Engineering; Cyber Security Engineering; DevOps Engineering; ხოლო რეგიონებში (ამბროლაური; ახალციხე; ბათუმი; ზუგდიდი; თელავი; კასპი; მცხეთა; რუსთავი; ქუთაისი) კი შემდეგ მიმართულებებზე: IT Business Analysis; Software Testing; Java Development; Business Analysis; Project Management და Business Intelligence.

ტრენინგის დასრულების შემდეგ, ყველა წარმატებულმა მონაწილემ გაიარა 20-საათიანი კარიერული განვითარების კურსი, რომელსაც უძღვებოდნენ წამყვანი საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების ქართველი თანამშრომლები (მაგ., Google, T-Mobile, Accenture). აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო EPAM-ის რეკრუტერმაც, რომელმაც მონაწილეებს გაუზიარა კანდიდატების შერჩევის პროცესში არსებული მოთხოვნები და დამსაქმებლის მოლოდინები.

✓ აქტივობა 5.1.4: „Do IT in Georgia: პროგრამის ფარგლებში, 5000 IT სპეციალისტის მომზადება

2025 წლის მაისში, პროგრამის ფარგლებში, ახალ, მესამე ნაკადზე, დარეგისტრირდა უპრეცედენტო რაოდენობის 19,526 აპლიკანტი (მათ შორის, 8,221 - პროგრამირების, 6,382 - დიზაინის, 4,923 - მართვის მიმართულებით). სულ 11 ტრენინგ პროვაიდერის 56 კურსზე ჩაირიცხა 1000 საუკეთესო ქულის მქონე პირი. 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დასრულდა 37 კურსი და კურსები სრულად დაასრულა 409 პირმა. სხვა სასწავლო პროგრამები გრძელდება და 2026 წლის მეორე კვარტალში დასრულდება. პროგრამის დაწყებიდან დღემდე ჯამურად კურსებზე ჩარიცხული აპლიკანტების რაოდენობა შეადგენს 3,046-ს.

✓ აქტივობა 5.1.5: საქართველოს ყველა ტექნოპარკში ICT განათლების ხელშეწყობი პროექტების განხორციელება (ტექნოლოგიური კვირეულები, ტექნოლოგიური ბანაკები, სატრენინგო კურსები, ვორქშოპები)

საანგარიშო პერიოდში, STEAM, მათ შორის, ICT მიმართულებით, ტრენინგების კომპონენტში გადამზადდა 1,457 ბენეფიციარი. აღსანიშნავია რამდენიმე პროექტი. კერძოდ, ზუგდიდის ტექნოპარკის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი "AI explorers"; სენაკის ტექნოპარკის ორგანიზებით პროექტი - "AI Workshop Fab Lab"; გურჯაანის ტექნოპარკის ორგანიზებით - დრონების ტრენინგ-ვორქშოფი; კასპის ტექნოპარკის პროექტი - "Wix for Schools"; ასევე, ჩატარდა ფინანსური ტექნოლოგიების კვირეული, დრონების ვორქშოფი, DEV FEST ბათუმსა და გურჯაანში, ტექნოლოგიური კვირეული - "Innovate with Robots", WIX - ვებ საიტების შექმნის ტრენინგ კურსი და სხვა.

- ✓ **აქტივობა 5.1.6:** სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღსაზრდელებში ინფორმაციის კრიტიკული გააზრების, ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარებისა და ბავშვთა ონლაინ დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აღმზრდელ-პედაგოგებისა გადამზადება

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღსაზრდელებში ინფორმაციის კრიტიკული გააზრების, ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარებისა და ბავშვთა ონლაინ დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, განხორციელდა თვისებრივი კვლევა და შემუშავდა რეკომენდაციები. კვლევის შედეგად, დაიდენტიფიცირდა მშობლებისთვის და აღმზრდელებისთვის მედიაწიგნიერების გზამკვლევის შემუშავების საჭიროება და სკოლამდელი განათლების საფეხურისათვის შეიქმნა სახელმძღვანელო "ბილიკი მედიაწიგნიერებისკენ", რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე და ადაპტირდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

- ✓ **აქტივობა 5.1.7:** ზოგად განათლებაში მედია და ინფორმაციული წიგნიერების კომპეტენციების საგნობრივი ინტეგრირებისა და მედიაწიგნიერების, როგორც ცალკე საგნის, სწავლებისადმი ინტერესის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით მასწავლებლებელთა გადამზადება

ციფრული წიგნიერების და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების მოდულებით გადამზადებულია საქართველოს 13 მუნიციპალიტეტის 150 სოფლის 3 150 მასწავლებელი, ხოლო კომპიუტერული მეცნიერებების და კრიტიკული აზროვნების სწავლების ხელშეწყობისთვის, "გამარჯობა, რუბის" რესურსით გადამზადებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი კლასების 1400 მასწავლებელი.

- ✓ **აქტივობა 5.1.8:** პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში მედია და ინფორმაციული წიგნიერების ინტეგრირება

საანგარიშო პერიოდში, პროფესიული უნარების სააგენტომ, პროფესიული განათლების საფეხურზე განხორციელა შემდეგი კვლევები, რომელთა მეშვეობითაც განათლების აღნიშნულ საფეხურზე არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება

მოხდა: მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა (2023 წლის კოჰორტა), ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, ინტეგრირებული პროგრამების საჭიროების კვლევა, ასევე შემუშავების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების კვლევა.

კომუნიკაციების კომისიის მიერ პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში მედია და ინფორმაციული წიგნიერების ინტეგრირების მიზნით, განხორციელდა საჭიროებების კვლევა და შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები (100%).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავდა მედიაწიგნიერების სასწავლო პროგრამა (გზამკვლევი) და განახლდა სილაბუსი. გადამზადდა 5 პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (ორდღიანი ტრენინგი - TOT). განხორციელდა მედიაწიგნიერების 3 სემინარი პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავდა მედიაწიგნიერების სასწავლო პროგრამა (გზამკვლევი).

განხორციელებულია 24 აკადემიური პერსონალის გადამზადება; მიმდინარეობს მუშაობა 2 (ორ) მედიაწიგნიერების სწავლებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსზე.

✓ **აქტივობა 5.1.9:** ციფრული მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება სოფლად მცხოვრები, სოციალური და ეთნიკური უმცირესობების, სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობით

2025 წლის მონაცემებით მონაწილეობა მიიღო 4600-მა ბენეფიციარმა, აქედან 70% იყო ქალი ბენეფიციარი, 14% - 60+ ასაკის მონაწილე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ჯამში 130.

✓ **აქტივობა 5.1.10:** სოციალურად დაუცველი ოჯახების ციფრულ მოწყობილობებზე და ინტერნეტ სერვისებზე წვდომის ხელშემწყობი დახმარების მექანიზმების შესახებ საერთაშორისო გამოცდილების კვლევა

უნივერსალური სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანერგვის მიზნით, ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებითა და ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (2018/1972 დირექტივის) შესაბამისად, მომზადებულია კანონის პროექტი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში

ცვლებების შეტანის შესახებ”. უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობისათვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა, აღნიშნული ასევე მოიცავს შშმ პირების ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებას. მიმდინარეობს დონორის მოძიება კვლევის განსახორციელებლად

✓ **აქტივობა 5.1.11:** ციფრული მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ციფრული წიგნიერების და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების შესახებ

2025 წლის მდგომარეობით, ჩატარებულია 800-მდე სემინარი და გადამზადებულია 10 000 ბენეფიციარი.

✓ **აქტივობა 5.1.12:** ევროკავშირის გაფიცრულების პროექტის ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

2025 წელს ჩატარდა 14 საინფორმაციო შეხვედრა. საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებოდა 217 მეწარმე სუბიექტი.

გამოწვევები და რეკომენდაციები

1.1.12 აქტივობის „ევროკავშირის როუმინგულ რეგულაციებთან დაახლოების საკანონმდებლო პროექტების მიღება და განხორციელება“ ფარგლებში, გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მიღებისა და შემდგომი განხორციელების პროცესის უზრუნველყოფა.

1.1.15 აქტივობის „საქართველოს ევროკავშირის ერთიან როუმინგულ სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით საკანონმდებლო პროექტების მომზადება“ ფარგლებში პროცესის გაგრძელება დამოკიდებულია ევროკომისიის მხრიდან შემდგომი პროცედურების განხორციელებაზე.

1.1.16 აქტივობის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის EECC-სთან ჰარმონიზაცია“ ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს დაწყებული საკონსულტაციო მომსახურების გაგრძელების კუთხით, შესაბამისი საკონსულტაციო კომპანიის შერჩევის ან არსებული კონსულტანტის ჩართულობის გაგრძელებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

1.1.17 აქტივობის „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო სამართლებრივ ჩარჩოსთან დაახლოება“ ფარგლებში პროცესის გაგრძელება დამოკიდებულია ევროკომისიის მხრიდან შემდგომი პროცედურების განხორციელებაზე.

1.1.18 აქტივობის „ევროკავშირის ციფრული ევროპის პროგრამაში გაწევრიანება“ ფარგლებში პროცესის გაგრძელება დამოკიდებულია ევროკომისიის მხრიდან შემდგომი პროცედურების განხორციელებაზე.

1.2.1 აქტივობის ფარგლებში შესაბამისი კვლევითი დოკუმენტების მომზადება საჭიროებს ტექნიკური დახმარების მოპოვებას.

2.1.4 აქტივობის „Digital Identity Wallet“-ის სისტემის დანერგვა ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება, რაც დროში ახანგრძლივებს პროცესს.

2.1.6 აქტივობის „ტელემედიცინის სერვისების დანერგვა“ ფარგლებში გამოწვევებია ჩატარებული დისტანციური კონსულტაციების დაბალი მაჩვენებელი, სოფლად სამედიცინო პერსონალის მწირი კომპიუტერული უნარჩვევები (პერსონალის დაბერების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით) და ციფრული ჯანდაცვის ცნობიერების დაბალი დონე.

2.2.1 აქტივობის ფარგლებში კვლევის დოკუმენტის მომზადება დამოკიდებულია ტექნიკური დახმარების მოპოვებაზე.

3.1.6 აქტივობის „500 Global-ის პროგრამის ფარგლებში სტარტაპების აქსელერაცია“ ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს საკმარისი ხარისხის სტარტაპების არარსებობა, რის გამოც დაგეგმილზე ნაკლები სტარტაპი შეირჩა.

3.2.1 აქტივობის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის გზამკვლევის მომზადება საჭიროებს ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას.

4.1.1 მყისიერი გადახდების სისტემის იმპლემენტაციის ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს IPS-ის მონაწილეების (პირველ ეტაპზე კომერციული ბანკები) სათანადო ჩართულობა და მათი დროული მზაობა სისტემის გაშვების მომენტისათვის.

4.1.2 მყისიერი გადახდების სისტემის შემდგომი განვითარების ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს IPS-ის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება და საზოგადოების ცნობიერებისა და აქტიური გამოყენების ზრდა.

4.1.3 QR კოდის ეროვნული სტანდარტის დანერგვის ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ბანკების სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა.

4.1.4 საბარათე სისტემებს შორის ურთიერთთავსებადობის მხარდაჭერის მიზნით დოკუმენტის პროექტის მომზადების ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს სატენდერო პროცესის ეფექტიანი ჩატარება და შესაბამისი მომწოდებლის დროული შერჩევა.

4.1.5 IPS სისტემის დანერგვის ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ბანკების სათანადო ჩართულობა და იმ ბანკების დროული მზადყოფნა, რომლებიც ჯერ არ არიან IPS-ში ჩართულები.

4.1.6 საგადახდო ტარიფების გამჭვირვალობის ზრდის მხარდაჭერის მიზნით

დოკუმენტის პროექტის მომზადების ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ბანკების აქტიური მონაწილეობა.

4.2.1 რეგულირების ლაბორატორიის (regulatory sandbox) საერთაშორისო კონცეფციის ჩამოყალიბების ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების არარსებობა და მსგავსი ინოვაციური პროექტების განხორციელებაში საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილების სიმცირე.

4.2.2 რეგულირების ლაბორატორიის მასშტაბების არარეგულირებად სუბიექტებზე გავრცელების მიზნით დოკუმენტის პროექტის მომზადების ფარგლებში გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა.

მოცემული გამოწვევებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკანონმდებლო პროცესების დაჩქარება, ტექნიკური დახმარებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის დროული უზრუნველყოფა, სატენდერო პროცესებში დავების მართვის ეფექტიანი მექანიზმების გაძლიერება, ასევე ადამიანური რესურსების განვითარება და სოფლამდ მცხოვრები მოსახლეობის ციფრული უნარების შემდგომი ამაღლება, შესაბამის აქტივობებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს აქტივობების დროულ და ეფექტიან განხორციელებას.

დანართი - კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში